ვირტუალური აქტივის, როგორც ვაჭრობის საგნის, სამართლებრივი რეგულირება საქართველოში



კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ხელმძღვანელი: მაისურაძე დავით

სტუდენტი: ლომიძე ოთარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

აბრევიატურა:

B2B	Business to Business
B2C	Business to Consumer
VASP (s)	Virtual Asset Service Provider (s)
FATF	Financial Action Task Force (for Money Laundering and terrorist financing)
ENIAC	Electronic Numerical Integrator and Computer
FATCA	Foreign Account Tax Compliance Act
P2P	Peer to Peer
NFT	Non-Fungible Token
DLT	Distributed Ledger Technology
PSA	Payment Servies Act
FIEA	Financial Instruments and Exchange Act
IOSCO	International Organization of Securities Commissions
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area
UCITS	Undertakings for Collective Investments in Transferable Securities (Directive)
AIFMD	Alternative Investment Fund Managers Directive

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

© ოთარი ლომიძე

(2024)

აბსტრაქტი

ვირტუალური აქტივები, როგორც ტექნოლოგიური სიახლე წარმოადგენს ინვესტირების, თანხის გადაცემის ან/და შესყიდვის მარტივ საშუალებას. სხვა პლატფორმების, B2B (Business to Business), C2B (Consumer to Business)-გან განსხვავებით, სადაც ხდება ინვესტირება ან ფულადი სახსრების მიმოცვლა, დეცენტრალიზებულ ვირტუალური აქტივების მიმოქცევის პროცესი შედარებით მარტივი და ფორმალობებისგან განცალკევებულია.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ბუნდოვანი ტექნოლოგია რომელიც მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში მხოლოდ ვირტუალურ ვალუტას უკავშირდებოდა, დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და საინტერესო ტექნოლოგიად გვევლინება, რომელსაც ფაქტობრივად ყველა ინდუსტრიაში ვხვდებით. ვირტუალური ტექნოლოგიები, რომელიც ტრადიციული ფინანსური ინსტრუმენტების ვირტუალურ ალტერნატივას წარმოადგენს, თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო ცნობილი, თუმცა ვირუსული ტემპით გავრცელდა და გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი მოთამაშე აღმოჩნდა.

მიუხედავად მისი სიმარტივის, ხელმისაწვდომობის და პრაქტიკულობის თვალსაზრისით არსებული უპირატესობისა, ვირტუალური აქტივები ერთის მხრივ ბაზრის მონაწილეებს, მომსახურების პროვაიდერებს და მომხმარებლებს, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს გარკვეულ გამოწვევებს უქმნის, რადგანაც მისი ფართო გამოყენების მასშტაბების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ რჩება მთელი რიგი ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები.

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს ვირტუალურ აქტივთა წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირებას, რეგიონულ და საერთაშორისო ფარგლებში მოპოვებულ სამართლებრივ დებულებებსა და მოსაზრებებს, მიზნად ისახავს მიმოიხილოს ვირტუალური აქტივებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი მიდგომები, საკანონმდებლო ინიციატივები და პრაქტიკები.